

## ავტობიოგრაფია

მე, გიორგი ავთანდილის ძე კონდახიშვილი, დავიბადე 1980 წლის 24 ოქტომბერს, ქ. თბილისში.

1987 -1998 წლებში ვსწავლობდი ქ.თბილისის N1 კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც დავამთავრე წარჩინებით.

1998 წელს ჩავირიცხე ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 2003 წელს წარჩინებით და მივიღე მაგისტრის ხარისხი.

2001-2002 წლებში გავიარე სტაჟირება შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში - გამომძიებლის თანაშემწედ საზოგადოებრივ საწყისებზე. 2002-2003 წლებში ვსაქმიანობდი იურიდიული ფირმა „ბიზნეს ლეგალ ბიურო“-ს სტაჟიორად.

2003 წლის ივლისში დავინიშნე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სიტემაში, მინისტრის მოადგილის თანაშემწის პოზიციაზე, ამავდროულად ვმუშაობდი შს სამინისტროს რეფორმების სააგენტოს მრჩეველად.

2004-2005 წლებში ვმუშაობდი შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ქ.თბილისის ისანი-სამგორის საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლის თანამდებობაზე.

2005 წლის ივნისიდან 2006 წლის ივლისამდე ვმუშაობდი იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი გამომძიებლის თანამდებობაზე.

2006 წლის ივლისიდან - 2010 წლის მაისამდე ვმუშაობდი ქ.თბილისის პროკურატურაში - ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორის თანამდებობაზე.

2010 წლის მაისიდან - 2011 წლის დეკემბრამდე ვმუშაობდი - საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლისა და შემდგომში საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის თანამდებობებზე.

